პოსტერებით სწავლება
წელიწადის ოთხი დრო
Die vier Jahreszeiten

მოამზადა ხათუნა
მჭედლიშვილმა

პოსტერების დახმარებით შესაძლებელია მოსწავლეთა მოტივაცია და მათი ჩართულობის გაზრდა. მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც სასწავლო პროცესის შესავალი გაკვეთილებზე, გერმანულ ენასთან პირველი შეხვედრისას და ასევე სავალდებულო თემატური ერთეულის ფარგლებში (მაგალითად, წელიწადის დროები და თვეების სახელები, ამინდი, ჰობი, ტანსაცმელი ან ცხოველები) საინტერესო და დინამიური გაკვეთილის ჩასატარებლად. მრავალფეროვანი და ფერადი სურათები განაწყობს სწავლისთვის და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილებისა და წინარე ცოდნის გააქტიურებაში. პოსტერების გამოყენება შესაძლოა სხვადასხვა საფეხურზე. წარმოგიდგენთ წელიწადის ოთხ დროზე შექმნილ ოთხ პოსტერს, თითოეულ პოსტერზე წარმოდგენილია დაახლოებით **20** სიტყვა. ფერადი და მიმზიდველი ილუსტრაციები აღძრავენ სწავლის სურვილს და ხელს უწყობენ მოსწავლეებს ახალი ლექსიკის დამახსოვრებაში, თითოეულ პოსტერს თან ახლავს მათი გაკვეთილზე გამოყენების ინსტრუქცია, შესაბამისი აქტივობები და ამოსაბეჭდად გამზადებული სამუშაო ფურცლები.

პოსტერებისა და საგაკვეთილო მასალის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ: